ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა
კომისიის გაერთიანებული სხდომის ოქმი №28

07 ივნისი, 2019 წელი
15:00 საათი
(ბიუროს სხდომათა დარბაზი)

სხდომას ესწრებოდნენ ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრები:

1. გიორგი ბირბიჩაძე
2. გიორგი მუსხელიშვილი;
3. ნინო ლაცაბიძე;
4. თამარ ტალიაშვილი
5. ფრიდონ ინჯია;
6. ლილე ლიპარტელიანი;

მოწვეული სტუმრები:
ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსი გელა ჩივიაშვილი;
თბილისის SOS ბავშვთა სოფლის პროგრამის დირექტორი მარინე შაღაშვილი-ქავთარაძე;
თბილისის SOS ბავშვთა სოფლის პროგრამა - თეონა ნემსიწვერიძე;
ორგანიზაცია ,,ჩემი სახლი'' - პროგრამის მენეჯერი ნატალია დურგლიშვილი.

სხდომის დღის წესრიგი:

- 18 წელს მიღწეული მზრუნველობამოკლებული სტატუსის მქონე პირების საზოგადოებაში ინტეგრაცის ხელშეწყობა (ინიციატივა).

სხდომას თავმჯდომარეობდა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ბირბიჩაძე.

გიორგი ბირბიჩაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა. კომისიის წევრებს და მოწვეულ სტუმრებს წარმოუდგინა ქვორუმი და გააცნო დღის წესრიგი.

წარმოდგენილი ინიციატივა მიზნად ისახავს 18 წელს მიღწეული მზრუნველობამოკლებული სტატუსის მქონე პირების საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობას ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო ზრუნვის სერვისების მიმღებთათვის.

ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამა მოიცავს სხვადასხვა კომპონენეტს, მათ შორის მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამას, რომელიც ითვალისწინებს თავშესაფრით უზრუნველყოფის ღონისძიებებს, ასევე, მზრუნველობამოკლებული ბავშვებისათვის მცირე საოჯახო ტიპის სახლების მომსახურებას და მინდობით აღზრდას. ზემოთხსენებული ქვეპროგრამით სარგებლობა შეუძლიათ მხოლოდ 18 წლამდე ასაკის მიუსაფარ ბავშვებს. მინდობით აღსაზრდელს, რომელსაც შეუსრულდა 18 წელი და არის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების/სკოლის მოსწავლე, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესიული სტუდენტი ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტი, შეუძლია მინდობით აღზრდის მიზნით განთავსებული იყოს სწავლის დასრულებამდე, მაგრამ არაუმეტეს 21 წლის ასაკის მიღწევისა.

მომხსენებელმა მარინე შაღაშვილმა მოკლედ მიმოიხილა ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამა და დასძინა რომ 18 წელს მიღწეული მზრუნველობამოკლებული სტატუსის მქონე პირები რომლებიც არ არიან რომელიმე საგანმანათლებელო დაწესებულების სტუდენტები, ავტომატურად ეთიშებიან სახელმწიფო მრზუნველობის პროგრამას, რაც აფერხებს საზოგადოებაში მათ ინტეგრაციას. გარდა ამისა, მათ თავის სარჩენად უწევთ დაბალანაზღაურებად სამსახურში მუშაობა, ვერ იღებენ უმაღლეს ან პროფესიულ განათლებას რაც ზრდის მომავალში მათი სოციალურად დაუცველობის რისკს. ინიციატივა მდგომარეობს იმაში, რომ 18 წელს მიღწეულ მზრუნველობამოკლებული სტატუსის მქონე პირებს 21 წლამდე გაეწიოთ ფინანსური დახმარება ან უზრუნველყოფილი იქნან დროებითი საცხოვრებელი ფართით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსმა გელა ჩივიაშვილმა აღნიშნა, რომ მსგავსი ინიციატივით საქალაქო სამსახურს მიმართა დონორმა ორგანიზიამ ,,ნატახტრის ფონდი'' და გამოთქვა

თანამშრომლობის სურვილი. მისი თქმით, დონორების ჩართულობა აღნიშნული ინიციატივის განხორციელებაში შეასრულებს მნიშვნელოვან როლს. სამუშაო ჯგუფი იმსჯელებს წარმოდგენილ ინიციატივაზე რათა შემუშავდეს პროგრამის განხორციელების გზები.

კომისიის თავმჯდომარე გიორგი ბირბიჩაძემ დადებითად შეაფასა წარმოდგენილი ინიციატივა. მისი თქმით პირველ ეტაპზე კონკრეტულად გაიწერება მიზნობრივ პროგრამაში ჩართვის კრიტერიუმები და განხორციელების მექანიზმი რაც შესაძლებელს გახდის პროგრამის ამოქმედებას არაუგვიანეს მომავალი წლისა.

კომისიის წევრი ნინო ლაცაბიძე მიიჩნევს რომ წარმოდგენილი საკითხის განხილვა უნდა მოხდეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა ჩართულობით, აღნიშნული ინიციატივის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით.

<u>კომისიამ დაადგინა</u>

ინიციატივა განხილული იქნას შემდგომ სხდომებზე, როცა წარმოდგენილი იქნება სამუშაო ვერსიის სახით.

ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ბირბიჩაძე